



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №94



2013 წლის 24 ივნისი
ქალაქი ხაშური

ქალაქ ხაშურის ქუჩების ასფალტირების სამუშაოების შესყიდვის
თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ომარ ხაჯაველიძის 2013 წლის 24 ივნისის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად:

1. თანხმობა მიეცეს მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ქალაქ ხაშურში ქუჩების ასფალტირების სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულება 979 772.29 (ცხრაასსამოცდაცხრამეტათას შვიდასსამოცდათორმეტი და 29 თეთრი) ლარი, აღმატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

